

26/03/2025



MES 4 25 0000337379

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი, 12.03.2025

სხდომის დაწყების დრო: 16:00 სთ

დასრულების დრო: 19:55 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: თამარ იოსელიანი

საბჭოს მდივანი: დავით ლეშვაშელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა ჰიბრიდული ფორმით კერძოდ, სხდომას ადგილზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ესწრებოდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ძირითადი და მოწვეული წევრების, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლების ნაწილი, ხოლო დანარჩენი დაინტერესებული მხარეები, მათ შორის ავტორიზაციის ექსპერტები საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ დისტანციურად, თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით. საბჭოს სხდომა გაიმართა **2025 წლის 12 მარტს.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ საბჭოს მუშაობის პროცესში მონაწილეობა მიეღოთ როგორც დისტანციურად, ისე ადგილზე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

სხდომას ესწრებოდნენ:

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:**

1. **თამარი იოსელიანი** - შპს "ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამსაქმებელი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ზურაბ ორჯონივიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. **დავით ლეშვაშელი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი
4. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
5. **მიხეილ გურგენიძე** - შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში ასისტენტ-პროფესორი;
6. **ლევან მიდოდაშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
7. **სერგო ჭელიძე** - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს პროფესორი;

8. კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდის საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;
10. ივანე ჯაგოდნიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი;
11. ნათა ზედგინიძე - სსიპ - ქუთასის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი;
12. სალომე კუჭუხიძე - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი.

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული წევრები:**

1. გია ლობჟანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ზოგადი ქირურგის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;
2. ჯილდა ჭეიშვილი - საქართველოს ეპიდემიოლოგთა და ინფექციის კონტროლის სპეციალისტთა ასოციაციის საბჭოს წევრი;
3. მარა ბიწკინაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
4. ეკა ბოჭორიშვილი - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების დეპარტამენტის სახელმწიფო პროგრამების რევიზიის სამმართველოს უფროსი;
5. ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
6. ზვიად კირტავა - შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ პროფესორი;
7. ივანე ჩხაიძე - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
8. ხათუნა ზალდასტანიშვილი - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
9. კახაბერ ჩიხრაძე - შპს „ამერიკული ჰოსპიტლის“ თბილისის სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელი;
10. დავით კობეშვაძე - შპს „იმედის კლინიკის“ დირექტორი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომა დგენლები:**

1. ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. გვანცა ძიძიგური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
3. სოფიკო ქურასხედიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

4. **თამთა მოხევიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
5. **ნინო სარჯველაძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
6. **ანი ბილანიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
7. **ანა ჯავახიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
8. **ნანა კავლელაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
9. **ქრისტინე აბულაძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
10. **ქეთევან პავლიაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
11. **გიორგი ირემაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
12. **თათია მამრიკიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
13. **ედვინი სირბილაძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
14. **მარიამ ბერიძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი:**

- **ნინო დობორჯგინიძე** - რექტორი;
- **ქეთევან დარახველიძე** - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
- **გიორგი გვალია** - რექტორის მოადგილე;
- **ნინო ჟვანია** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- **ნინო ამირანაშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **მარიამ დალაქიშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
- **დალი ცქიტიშვილი** - იურიდიული სამსახურის უფროსი;
- **თამარ ებრალიძე** - იურიდიული სამსახურის უფროსი იურისტი;
- **მაია გამეზარდაშვილი** - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
- **ანა ხუნდაძე** - სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის უფროსი;
- **სალომე შედანია** - განვითარების სამსახურის უფროსი;
- **თეო ყაველაშვილი** - ბიბლიოთეკის დირექტორი;
- **ქეთევან ბოიკო** - საერთაშორისო სტუდენტებისა და პროგრამების მარკეტინგის სამსახურის უფროსი;
- **ლევან კვარაცხელია** - სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის უფროსი;
- **რუსულან ზურაბაშვილი** - საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი
- **ელენე ჟურავლიოვა** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;
- **თამარ ბარბაქაძე** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი;
- **ივანე აბიათარი** - მედიცინის სკოლის ხელმძღვანელი;
- **გიორგი პაპუაშვილი** - სამართლის სკოლის დეკანი;

- მარინა მესხი - სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ნიკოლოზ ყაველაშვილი - ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი;
- მაია ბიწაძე - ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ნინო მატარაძე - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი;
- მაკა ლაშვილი - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- იაგორ კალანდაძე - პროფესორი;
- თამაზ შაბურიშვილი - პროფესორი;
- დავით თარხნიშვილი - სამეცნიერო კვლევებში რექტორის მრჩეველი, პროფესორი

### **შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი:**

- გოჩა თუთბერიძე - რექტორი;
- სოფიო ხუნდაძე - ვიცე - რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით;
- ნიკოლოზ ფარჯანაძე - შპს ევროპის უნივერსიტეტის ვიცე რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით;
- ნინო ტალიაშვილი - ვიცე - რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით;
- თათია ხარაბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- თამარ პერტაია - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;
- თეონა გრიგოლაშვილი - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი;
- თინათინ გოგნაძე - დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- ზაზა ავალიანი - დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

### **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):**

- აზიმ მუჰამედ მირზაზადე (Azim Mohammad Mirzazadeh) – II საკითხი
- სოფიო ხუნდაძე - II საკითხი
- ხათუნა საგანელიძე - II და III საკითხები
- ია ნაცვლიშვილი - III საკითხი
- ბექა ბენდელიანი - III საკითხი
- ქეთევან აფთარაშვილი - III საკითხი

**სხდომა გახსნილად გამოცხადდა 2025 წლის 12 მარტის 16:00 საათზე.**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ იოსელიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1

ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს ძირითადი და მოწვეული წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

### საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის ხელახალი განხილვა (სააპელაციო საბჭოდან დაბრუნებული);
2. შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის ხელახალი განხილვა (სააპელაციო საბჭოდან დაბრუნებული).

### შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

#### • კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, საბჭოს პირველ საკითხად განეხილა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 10 ოქტომბრის №1311986 სხდომის ოქმში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხი რომელიც ეხებოდა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ავტორიზაციის მინიჭებასთან დაკავშირებით კენჭისყრის შედეგების რაოდენობრივ მონაცემებს.

საბჭომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა.

### დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 10 ოქტომბრის №1311986 სხდომის ოქმში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის ხელახალი განხილვა (სააპელაციო საბჭოდან დაბრუნებული);
3. შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის ხელახალი განხილვა (სააპელაციო საბჭოდან დაბრუნებული).

**პირველი საკითხი:** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 10 ოქტომბრის №1311986 სხდომის ოქმში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეულმა წევრმა ეკა ეკალაძემ განაცხადა, რომ მონაწილეობა არ მიუღია სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ის სხდომას გამოეთიშა ტექნიკური ხარვეზის გამო მანამ, სანამ საბჭო გადავიდოდა სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მისაღებად. ასევე ის არ დასწრებია მე - 2 საკითხის, შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვის ზეპირ მოსმენას. შესაბამისად ოქმში უნდა დაკორექტირდეს სსიპ - ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტის და შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის“ ავტორიზაციის საკითხებთან დაკავშირებით კენჭისყრის შედეგების რაოდენობრივი მონაცემები.

ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ეკა ეკალამე სრულად ვერ დაესწრო საბჭოს სხდომას. როგორც ჩანს მას ჰქონდა ტექნიკური ხარვეზი და გამოეთიშა საბჭოს მიმდინარეობის პროცესს მანამდე, სანამ საბჭო გადავიდოდა სათათბირო ოთახში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განსახილველად. ასევე ის არ დასწრებია შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვის ზეპირ მოსმენას. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამას გავლენა არ მოუხდენია 10 ოქტომბრის საბჭოზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რადგან ორივე შემთხვევაში საბჭოს წევრების კვორუმის არსებობის პირობებში საბჭო უფლებამოსილი იყო ესმჯელა საავტორიზაციო განაცხადებზე და მიეღო კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები.

საბჭო ერთხმად დაეთანხმა სხდომის ოქმში ტექნიკური შეცდომის გასწორებას და გადაწყვიტა: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, 2024 წლის 10 ოქტომბრის №1311986 სხდომის ოქმში ავტორიზაციის მინიჭებასთან დაკავშირებით კენჭისყრის შედეგები განისაზღვროს შემდეგნაირად:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციასთან დაკავშირებით:

**მომხრე - 21**

**წინააღმდეგი - 1**

2. შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის“ ავტორიზაციის საკითხთან დაკავშირებით:

**მომხრე - 24**

**წინააღმდეგი - 0**

**მეორე საკითხი:** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის ხელახალი განხილვა (სააპელაციო საბჭოდან დაბრუნებული);

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**  
არა.

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:**

არა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. ასევე, სააპელაციო საბჭოსადმი წარდგენილ საჩივარსა და სააპელაციო საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასა და სხდომის ოქმს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, ასევე, სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმსა და გადაწყვეტილებას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, ასევე, სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმსა და გადაწყვეტილებას.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.**

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ნინო დობორჯგინიძე, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს იმ შესაძლებლობისთვის, რომ დაწესებულებას მიეცა საშუალება საკუთარი პოზიცია და ეფიქსირებინა ფიზიკურ სივრცეში. ასევე, მადლობა გადაუხადა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სხვა საჯარო უნივერსიტეტებისაგან განსხვავებით ახალგაზრდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა. უნივერსიტეტი ისეთ აკადემიური ჟურნალებისა და მაღალი სამეცნიერო რეიტინგების მონაცემთა ბაზაშია გაწევრიანებული, როგორებიცა „Scimago”, „EBSCO Discovery Service” და ა.შ. მისი განმარტებით, ის ერთ-ერთი საუკეთესო კვლევითი უნივერსიტეტია საქართველოში და მთლიანად სამხრეთ კავკასიაში. დაწესებულებამ ორი მნიშვნელოვანი მიმართულება დაიმატა „ტექნოლოგიებისა“ და „მედიცინის ერთსაფეხურიანი“ საგანმანათლებლო პროგრამის სახით. დღეისთვის უნივერსიტეტი ახორციელებს ერთობლივი ხარისხის, როგორც საბაკალავრო და სამაგისტრო, ისე სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებს. 2015 წლიდან დაწესებულება ესპანურ, გერმანულ, ბელგიურ, შოტლანდიურ და ბრიტანულ უნივერსიტეტებთან ახორციელებს ერთობლივ სამ „Erasmus +“-ის სამაგისტრო პროგრამას. ამის შემდეგ დაემატა „ერლანგენის“, „ჰაიდელბერგის“, „პორტოს“ და სხვა უნივერსიტეტებთან ერთობლივი პროგრამების განხორციელება. ექსპერტების მიერ გაცემული ერთ-ერთი რჩევა ეხებოდა უნივერსიტეტის მიერ ინკლუზიური მიდგომის განვითარებას. მისი თქმით, დაწესებულება არის პირველი, რომელმაც ენისა და მეტყველების თერაპიის მიმართულებით საერთაშორისო პროგრამების განხორციელება დაიწყო. შესაბამისად, ეს რჩევა, რომელიც ავტორიზაციის საბჭოს მიერ გადატანილ იქნა რეკომენდაციებში, შინაარსობრივად ატარებს რჩევის და არა რეკომენდაციის ხასიათს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა 10 სადოქტორო საერთაშორისო პროგრამების განსახორციელებელი გრანტიდან ორი მოიპოვა. შესაბამისად, ეს უნივერსიტეტი იყო პირველი, რომელმაც ზემოთ აღნიშნული ორი პროგრამისთვის საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების შექმნა დაიწყო. დაწესებულებას ჰყავს 9 დოქტორი, რომელმაც მიიღო ამ პროგრამებით გათვალისწინებული შესაბამისი კვალიფიკაცია. უნივერსიტეტი ცდილობს, რომ საერთაშორისო დაფინანსება შესაბამისად გამოიყენოს. მისი თქმით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს პარტნიორობა აქვს მსოფლიოს მრავალ წამყვან უნივერსიტეტთან და კვლევით ინსტიტუტთან. თანამშრომლობა მოიცავს გაცვლით პროგრამებს, ერთობლივ კვლევებს, ორმაგ დიპლომებსა და აკადემიურ პარტნიორობას „გეტინგენის“, „ჰალეს“, „მიუნისტერის“ და სხვა უნივერსიტეტებთან.

დაწესებულების წარმომადგენლის, ნინო დობორჯგინიძის თქმით, საერთაშორისო ნდობის დიდი ნაწილი მოდის იმ თოთხმეტ პროგრამაზე, რომელსაც უნივერსიტეტი ახორციელებს. დაწესებულება როგორც საკუთარ, ისე ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეპუტაციას უფრთხილდება. წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ საერთაშორისო კოლეგების გაკვირვება გამოიწვია, მათ შორის, სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის. ამასთან დაკავშირებით დაწესებულების უკუკავშირი იყო ის, რომ საქართველოში არსებულ სისტემებს მიყვებოდა დაწესებულება. საქართველოს განათლების სამინისტროს მაღისნ დიდი წვლილი მიუძღვის როგორც „ABET“-ის მიერ აკრედიტებული პროგრამების წარმატებით განხორციელებაში, ისე საჯარო უნივერსიტეტისათვის ფინანსურად უზრუნველყოფისთვის, თუმცა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთადერთი საჯარო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელმაც საკუთარი ხარჯებით ააშენა ახალი კამპუსი. მან აღნიშნა, რომ კვლევაში წარმატება თითქმის შეუძლებელია იმ დაფინანსების პირობებში, რომელსაც იღებს უნივერსიტეტი, თუმცა ამ მიმართულების გაუმჯობესების მიზნით დაწესებულება იყენებს დამატებით საერთაშორისო დაფინანსებასა და გრანტებს. მაგალითად, გერმანიის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გრანტი „კავკასიის ბიომრავალფეროვნების“ შესახებ“ 3 მილიონი ევროს ოდენობით მიღებული აქვს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს. დაწესებულების მიმართ გაცემულია შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია უნივერსიტეტი დააკვირდეს და

მყისიერად მიჰყვეს საკანონმდებლო ცვლილებებს“ ნინო დობორჯგინიძის თქმით, ეს რეკომენდაცია უნივერსიტეტმა ზოგადი სახის რეკომენდაციად მიიღო. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს ეხებოდა „ბიზნესის“ პროგრამებს, რომ დაწესებულებას მხედველობაში მიეღო საქართველოში მოქმედი დადგენილებები. ამ საკითხთან დაკავშირებით უნივერსიტეტის პოზიცია იყო ის, რომ პროგრამების დადგენილებებთან შესაბამისობაში მოყვანისათვის მათ კიდევ ჰქონდა დრო. შესაბამისად, ამით უნივერსიტეტი არაფერს არღვევდა. ერთ-ერთი რჩევა, რომელიც ეხება ყველა მემორანდუმში სტუდენტების მაქსიმალური/მინიმალური რაოდენობის მითითებას, რეკომენდაციებში არ უნდა იყოს გადატანილი. მაგალითად, კვლევით პროექტებს, რომლებსაც დაწესებულება ახორციელებს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და ეროვნულ არქივში, განსაზღვრული არ აქვს სტუდენტთა რაოდენობა. რაც შეეხება სამედიცინო პროგრამას ან ისეთ სამაგისტრო პროგრამას, რომლის კურიკულუმის ნაწილია პრაქტიკული ნაწილი, რა თქმა უნდა, სტუდენტების მაქსიმალური/მინიმალური რაოდენობა მითითებულია. სამედიცინო პროგრამების შემთხვევაში მკაფიოდ არის აღნიშნული, რომ უნივერსიტეტი როგორც წინა კლინიკური და თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნილ რაოდენობას და მზად არის პროგრამის განხორციელებისთვის. ასევე ერთ-ერთი რჩევა ეხებოდა ძალისხმევის გაძლიერებას ინგლისურნოვან ვებგვერდზე სათანადო ინფორმაციის მიწოდების დაჩქარების მიზნით. როგორც ექსპერტებმა აღნიშნეს, დაწესებულება ამისთვის გაცილებით მეტს აკეთებს, ვიდრე მათ ამის ვალდებულება აქვს. შესაბამისად, ამ რჩევის რეკომენდაციებში გადატანა არარელევანტურია იმიტომ, რომ უნივერსიტეტი სტანდარტით დადგენილ ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით თარხნიშვილმა, განაცხადა, რომ წლების განმავლობაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სამხრეთ კავკასიაში “მსოფლიო უნივერსიტეტებისა“ და „სიმაგრეს“ რეიტინგში პირველ ადგილს იკავებს. ამის მიზეზია სამეცნიერო საქმიანობის განხორციელების კარგი ხარისხი დაწესებულებაში. მაგალითად, “მსოფლიო უნივერსიტეტების“ რეიტინგში დაწესებულებას აქვს 49.5 ქულა მაშინ, როდესაც სხვა საუკეთესო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს 17-18 ქულა აქვთ. მისი თქმით, ასეთი შედეგი მიიღწევა მიზანმიმართული საგანმანათლებლო პოლიტიკით. ასევე უნივერსიტეტში მომუშავე მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო კონსორციუმებში და სტუდენტების ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობის გზით. მან აღნიშნა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არის მთელი რიგი მიმართულებები („ატმოსფერული ფიზიკა“, „ბიოლოგიური მეცნიერებები“, „აგრარული ბიოლოგიური მეცნიერებები“, „ფსიქოლოგია“), რომლებიც წარმატებით ხორციელდება „ტრაპიზონისა“ და „რიზეს“ უნივერსიტეტებთან თანამსრომლობით . ნინო დობორჯგინიძემ დაამატა, რომ როდესაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაიწყო პროგრამების განხორციელება, შეიმუშავა ასეთი პოლიტიკა, რომ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება ყოფილიყო უფასო. ამჟამად 179 დოქტორანტია აქტიური. თითოეული დოქტორანტი ვალდებულია დაბეჭდოს სულ მცირე ორი სტატია 5-ზე მაღალ იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით თარხნიშვილმა განაცხადა, რომ მსოფლიოს რეიტინგით დაახლოებით შეფასებულია 28 000 უნივერსიტეტი, საიდანაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 1000-სა და 1100-ეს შორის იკავებს ადგილს. ევროპაში 2 700 უნივერსიტეტიდან ეს უნივერსიტეტი დაახლოებით 430-ე ადგილასაა. საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ დასკვნის ბოლო ვერსიაში ერთ-ერთი რეკომენდაცია გაცემული იყო 3 სტანდარტან მიმართებაში, კერძოდ, რეკომენდებულია უნივერსიტეტი დაკვირდეს და მყისიერად მიჰყვეს საკანონმდებლო ცვლილებებს. მისი თქმით, ეს რეკომენდაცია ზოგადი ხასიათის რეკომენდაციაა. დაწესებულება ამ რეკომენდაციას არ აღიქვამს ისე, თითქოს უნივერსიტეტში არსებობს გარკვეული დარღვევები და მათ ეს უნდა გამოასწორონ. მისი თქმით, ეს რეკომენდაცია შეიძლება გაცემული იყოს ნებისმიერი უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულების ხარისხთან მიმართებით. მან აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტში ეს რეკომენდაცია ბევრად უფრო ვიწრო იყო, რადგან ის მიემართებოდა „ბიზნესის ადმინისტრირების“ პროგრამების კლასტერს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის პროცესი ერთდროულად მიმდინარეობდა. დაწესებულებამ ავტორიზაციის შესახებ განაცხადი შეიტანა მაშინ, როდესაც სააკრედიტაციო წარმოებაში იყო პროგრამები. შესაბამისად, ამ შეფასებაში უნივერსიტეტის მხრიდან მითითებული იყო მხოლოდ ის პროგრამები, რომლებიც მოქმედი იყო იმ დროისთვის არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ეს პროგრამები, „ბიზნესის ადმინისტრირების“ დარგობრივი მახასიათებლიდან გამომდინარე, კერძოდ, ის, რაც ავტორიზაციის დანართში იყო მოცემული, რა თქმა უნდა, არ იყო შესაბამისობაში 2024 წლის რეგულაციასთან მიმართებით. მისი თქმით, კლასტერის ვადასთან მიმართებაში არსებულ პროგრამებს, რომლის შესახებ ინფორმაცია მოცემული იყო არგუმენტირებულ პასუხში, ვადა ჰქონდა 2024 წლის 31 დეკემბრამდე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ ეს რეკომენდაცია შეიცვალა და უფრო ზოგადი ხასიათის რეკომენდაციად ჩამოყალიბდა. დაწესებულების წარმომადგენერალი ნინო ჟვანიამ ხაზი გაუსვა, რომ 2024 წლის 30 დეკემბერს ბიზნესის ადმინისტრირების კლასტერში შემავალი ყველა პროგრამა, მათ შორის, სადოქტორო პროგრამაც აკრედიტებული იყო. აკრედიტაციის საბჭოს რეგულაციის დარღვევასთან დაკავშირებით არანაირი კანონშეუსაბამობა არ დაუდგენია.

ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ 3.1 კომპონენტში გაცემულია რჩევა, კერძოდ, სასურველია უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება დაუთმოს დოკუმენტების სწორად განახლების უზრუნველყოფას. მისი თქმით, ეს რჩევა ეხება იგივე საკითხს. შესაბამისად, არარელევანტურია ავტორიზაციის საბჭოს მიერ მისი რეკომენდაციებში გადატანა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ნინო დობორჯგინიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს სტუდენტების საერთო კვოტა დადგენილი, რომლის გაზრდასთან დაკავშირებით მოთხოვნა არ ყოფილა. ეს ასევე ეხება მედიცინის პროგრამას. როდესაც უნივერსიტეტმა ამ უკანასკნელ პროგრამასთან დაკავშირებით ინფორმაცია შეიტანა თვითშეფასების ანგარიში, 6 სემესტრი იყო დასრულებული.

## საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

საერთაშორისო ექსპერტი, აზიმ მირზაზადე (Azim Mirzazadeh), მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი, მილან პოლი (Milan Pol), ვერ ესწრებოდა სხდომას სხვა ქვეყანაში ფრენის გამო. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფი ძალიან პოზიტიურად იყო განწყობილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ. დაწესებულება თითქმის ყველა სტანდარტთან შესაბამისობაში იყო გარდა მესამე სტანდარტისა. უნივერსიტეტის მიმართ გაცემული იქნა შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია უნივერსიტეტი დააკვირდეს და მყისიერად მიჰყევს საკანონმდებლო ცვლილებებს“. ეს რეკომენდაცია გაიცა იმ მიზნით, რომ სავალდებულო კრედიტები სადოქტორო პროგრამასთან მიმართებაში გადაჭარბებული არ ყოფილიყო. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების განვითარებისათვის 12 რჩევა გაიცა. რა თქმა უნდა, მათი შესრულება არ არის სავალდებულო, თუმცა დაწესებულებას რჩევების გათვალისწინება დაეხმარება ხარისხის გაუმჯობესებაში. უნივერსიტეტში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა საუკეთესო პრაქტიკის იდენტიფიცირება, კერძოდ, უნივერსიტეტმა მრჩეველთა საბჭო შექმნა ზოგიერთ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგალითად, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების სკოლაში, ასევე სამართლის სკოლაში. მან ხაზი გაუსვა, რომ რეკომენდაცია გაცემული იყო მხოლოდ მესამე სტანდარტთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, უნივერსიტეტი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ის იყოს საუკეთესო უნივერსიტეტების რეიტინგებს შორის. ეს კარგად გამოჩნდა ვიზიტის პროცესში და მათ მიერ წარმოდგენილი შესაბამისი

მტკიცებულებებით. ექსპერტმა სოფიო ხუნდაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ვიზიტის შემდეგ დადებითი შთაბეჭდილებით დატოვა, რომელიც დასკვნაშიც აისახა. მისი თქმით, გაცემული ერთი რეკომენდაცია ეხებოდა არა ყველა ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამებს, არამედ მხოლოდ სადოქტორო პროგრამას. ვიზიტის დროს პროგრამა არ იყო შესაბამისობაში კანონმდებლობასთან, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ ადმინისტრაციული წარმოების დროს უნივერსიტეტს პროგრამებში ცვლილებები განხორციელებული ჰქონდა და მათი აკრედიტაციის პროცესი დაწყებული იყო. ექსპერტმა ხათუნა საგანმანათლებლო დაამატა, რომ უნივერსიტეტი ვიზიტის დროს აბსოლუტურად გამართულად მუშაობდა და ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა ინტერვიუების დროს. ექსპერტთა ჯგუფი თითოეულ პუნქტს თუ წინადადებას დასკვნაში ძალიან დიდი სიფრთხილით წერდა.

## საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ იოსელიანმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერსებდა, ამჟამად სამედიცინო პროგრამაზე რამდენი სტუდენტი სწავლობდა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, ელენე ჟურავლიოვამ, განაცხადა, რომ მედიცინის პროგრამამ აკრედიტაცია ახლახანს გაირა. შესაბამისად, ჯერ დამამთავრებელი სტუდენტები პროგრამას არ ჰყავს. პროგრამაზე სწავლება შეადგენს 12 სემესტრს. ამ ეტაპზე პროგრამაზე ჩარიცხულია 900-ზე მეტი სტუდენტი. ყველას არ აქვს აქტიური სტუდენტი და ფინანსური დავალიანების გამო სტუდენტთა გარკვეულ ნაწილს სტატუსი აქვს შეჩერებული. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სემესტრში იღებს 100 სტუდენტს. კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია ეფუძნება ძალიან ბევრ მაჩვენებელს და მხოლოდ კლინიკებს არ მოიცავს. ამ ეტაპზე 1 200 სტუდენტი იმიტომ არ ჰყავს პროგრამას, რომ დაწესებულება სპეციალურად პირველი სამი სემესტრი იღებდა ცოტა სტუდენტს. ყველა უნივერსიტეტს ესმის ის ფაქტი, რომ პროგრამის სიახლიდან გამომდინარე რელევანტური არ არის სტუდენტთა მაღალი რაოდენობის მიღება. დაწესებულებას ზედა სემესტრში ჰყავს ცოტა სტუდენტი. დაწყებითი სემესტრიდან უკვე სტაბილურად მოდის ის ციფრი, რომელზეც უნივერსიტეტს გათვლა აქვს. ყველა რესურსი მეთოდოლოგიის მიხედვით უნივერსიტეტს გადამოწმებული აქვს და ამ ეტაპზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სრულად ფლობს 1200 სტუდენტისთვის საჭირო რესურსებს. საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ იოსელიანმა, განმარტა, რომ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაზე დაყრდნობით, დაწესებულებას პროგრამაზე არა 900, არამედ 651 აქტიური და 115 სტატუსშეჩერებული სტუდენტი ჰყავდა. მან კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის კრედიტებთან დაკავშირებული შენიშვნა გაითვალისწინა თუ არა უნივერსიტეტმა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჟვანიამ, აღნიშნა, რომ ეს გათვალისწინებულია იმ მხრივ, რომ ყველა პროგრამას გააჩნია კლასტერის აკრედიტაციის ვადები. შესაბამისად, იმ პროგრამებმა, რომლებიც შეტანილი იქნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აკრედიტაციის მიღების მიზნით, წარმატებით გაიარეს აკრედიტაციის პროცესი შესაბამისი დადგენილი ვადების გათვალისწინებით, მათ შორის, აკრედიტაცია გაიარეს სადოქტორო პროგრამებმაც. არცერთი პროგრამის შემთხვევაში აკრედიტაციის საბჭოს მიერ არ დადგენილა საქართველოში მოქმედი რომელიმე იურიდიული ძალის მქონე კანონით დადგენილი მოთხოვნის დარღვევა, მათ შორის, კრედიტების რაოდენობასთან დაკავშირებით. როდესაც უნივერსიტეტმა ცენტრში შეიტანა ავტორიზაციის შესახებ განაცხადი, თვითშეფასების ანგარიშში აისახა მხოლოდ ის საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა განხორციელების შესაძლებლობა ჰქონდა. ამრიგად, უნივერსიტეტს კანონით დადგენილი ვადები არ დაურღვევია. მისი თქმით, 2018 წელს ავტორიზაციის თვითშეფასებაში ყველა სადოქტორო პროგრამა იყო 180 კრედიტიანი. სასწავლო კომპონენტისა 60 კრედიტიანად გადაკეთების ცვლილება შემოვიდა შემდეგ. შესაბამისად, ნებისმიერი

ცვლილება, რომელიც უკავშირდება პროგრამას, აუცილებლად ითვალისწინებს გარე ანგარიშგებას. ყველა ცვლილებასთან მიმართებაში დადგენილია კონკრეტული მოთხოვნები გარე ანგარიშგებასთან დაკავშირებით. მაშინ, როდესაც გარე ანგარიშგება ებმის აკრედიტაციას, 30%-ის ცვლილება იწვევს ხელახალი აკრედიტაციის მოთხოვნას.

დაწესებულების კანცლერმა, ქეთევან დარახველიძემ აღნიშნა, რომ კოლეგებმა კარგად დაასაბუთეს, თუ რატომ ითხოვდნენ მოთხოვნილ სტუდენტების რაოდენობას მედიცინის მიმართულებით და დაამატა, რომ მათ აქამდე არასდროს დაუფიქსირებიათ კვოტა, რადგან დაწესებულებას აქვს საკუთარი შიდა დაგეგმვის მექანიზმები: სტრატეგიული გეგმა და სამოქმედო გეგმა. ყველგან გაწერილია, რომ უნივერსიტეტი მოემსახურება 1700 სტუდენტამდე საერთაშორისო სტუდენტს, აქედან 1200 მედიცინის მიმართულებით. ქეთევან დარახველიძის თქმით, ამ მიმართულებით უნივერსიტეტმა ბოლო 5 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი რესურსი ჩადო კერძოდ, ადამიანური, ტექნიკური, ინფრასტრუქტურული, რომელიც მოიაზრებს ასევე ოსკის გამოცდების სივრცეებს, სიმულაციურ ოთახებს, ლაბორატორიებს და ა.შ. ეს ყოველივე გაწერილია სტუდენტების კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა რესურსი დეტალურადაა დათვლილი: მათ შორის კლინიკური და სტაჟირების ნაწილი. მან განაცხადა, რომ ექსპერტებმა გულისხმიერებით დაათვალიერეს სივრცეები, შეაფასეს რესურსები და ისინი ყველანაირად თანხმდებიან, რომ უნივერსიტეტი სრულიად აკმაყოფილებს მედიცინის მიმართულებით მოთხოვნილ კვოტას. მათი დიდი სურვილია, რომ უნივერსიტეტის პოზიცია გათვალისწინებული იქნას ამ მიმართულებით, რადგან ეს არის მათი განვითარების, სამოქმედო გეგმის და სტრატეგიის ნაწილი, რომელიც დადებითადაა შეფასებული კოლეგიალური საბჭოების მიერ და სრულიად მონაწილეობითი პროცესით არის დაგეგმილი საუნივერსიტეტო სივრცეში.

მოწვეულმა საბჭოს წევრმა, ეკა ეკალაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტს აქვს კვლევითი პოტენციალი და ადამიანური რესურსი, რამდენად სწორად იყენებდა უნივერსიტეტი ამ პოტენციალს. მან აღნიშნა, რომ ეს ბიოსამედიცინო მიმართულებით საკმაოდ მრავალფეროვანია. ეკა ეკალაძის მეორე კითხვა ეხებოდა კლინიკურ მიმართულებას. როგორც დაწესებულებამ აღნიშნა, მათ არ ჰყავთ კურსდამთავრებულები, თუმცა კლინიკური ეტაპი დაწყებულია. იგი დეტალურად გაეცნო ხელშეკრულებებს და აინტერესებდა იმ კლინიკებიდან, რომლებთანაც ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული დაწესებულებას, რომელი კლინიკა სარგებლობდა მეტი უპირატესობებით. ასევე რა სირთულეებს აწყდებიან და როგორ უმკლავდებიან გამოწვევებს. მესამე კითხვა ეხებოდა უშუალოდ პროგრამის განვითარებას. ეკა ეკალაძეს აინტერესებდა, ინტერდისციპლინური სწავლება, რომელსაც უნივერსიტეტის სტრუქტურა და აგებულება იძლევა, არის თუ არა მედიცინის პროგრამაში გათვალისწინებული, ან თუ იგეგმება. მედიცინის სკოლის ხელმძღვანელმა, ივანე აბიათარმა, განაცხადა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი არსებობს, როგორც კვლევითი უნივერსიტეტი. შესაბამისად, მედიცინის პროგრამაში დიდ როლი ენიჭება სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებას. მან განაცხადა, რომ მედიცინის სტუდენტები სარგებლობენ ყველა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის კვლევითი ინსტიტუტების ბაზებითა და ლაბორატორიებით. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ყველა საბაზისო სამედიცინო დარგებშია მოცემული. დაწესებულებამ შარშან აიღო CIF-ის გრანტი. ეს იყო პროექტი სამედიცინო პროგრამებში კვლევითი უნარების განვითარებისთვის. მან დაამატა, რომ მათი მედიცინის სტუდენტები მუშაობენ კვლევით პროექტებზე. ისინი არა მარტო კვლევით უნარებს იძენენ, არამედ თავად ზედამხედველობის ქვეშ მუშაობენ პროექტებზე და აკეთებენ ნაშრომის პრეზენტაციას. ეს არის ინდივიდუალური კურიკულუმის ნაწილი. ეს ნაწილები კურიკულუმში რამდენიმე ეტაპადაა გაწერილი. ისინი ეცნობიან ზოგად პრინციპებს, სწავლობენ კვლევის მეთოდებს და დამამთავრებელ სემესტრში იცავენ ნაშრომს. დაწესებულების წარმომადგენელს სურდა საბჭოს წევრებისთვის აეხსნა თუ რატომ გაჩნდა მედიცინის სადოქტორო პროგრამა 2012 წლიდან. დაწესებულებას მედიცინის სხვადასხვა დარგებში აქვს სადოქტორო პროგრამები, სადაც აქტიურად მიმდინარეობს კვლევები. გარდა

იმისა, რომ ბაზისური საგნების კვლევითი პოტენციალი აქვს უნივერსიტეტს, ის ცდილობს იპოვოს ისეთი კლინიკური პარტნიორი, რომელიც თვითონ იქნება კლინიკურ კვლევებში ჩართული. კვლევითი კომპონენტი გახდა ის ძირითადი მოტივაცია, რატომაც სურდა დაწესებულებას თავიდანვე სამედიცინო განათლებაში განევითარებინა გარკვეული უნარები. მეორე შეკითხვასთან დაკავშირებით, ივანე აბიათარმა განაცხადა, რომ თბილისის გულისა და სისხლძარღვთა კლინიკა მათი მჭიდრო პარტნიორია. გარდა ამისა, დაწესებულება თანამშრომლობს ჯეო ჰოსპიტალთან, სიმონ ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკასთან, გაგუას კლინიკასთან. ელენე უურავლიოვამ განმარტა, რომ უნივერსიტეტს აქვს საკუთარი თეატრი. ამ თეატრის რესურს იყენებს დაწესებულება სიმულაციური პაციენტის შემთხვევაში, მათ შორის, საგამოცდო პროცესში. მან აღნიშნა, რომ „ფსიქოლოგია“ საბჭოზე ბევრჯერ იყო ნახსენები. უნივერსიტეტში არის „Mental health“-ის სამაგისტრო პროგრამა, ადიქტოლოგიის სამაგისტრო პროგრამა და ამავე სკოლის „Public Health“-ის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, რომელთა რესურს ძალიან კარგად იყენებს უნივერსიტეტი. უნივერსიტეტმა აიღო პროექტი იელის უნივერსიტეტთან ერთად ბიოსტატისტიკის გაძლიერების კუთხით. ბიოსტატიკის და ინფორმატიკის კომპონენტები უკვე არის კურიკულუმში შეტანილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი ცდილობენ შექმნან სასწავლო გარემოს დიგიტალიზაცია. გარდა ამისა, დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობს, როგორც კვლევითი, ისე სწავლის მიმართულებით ინტერდისციპლინური გარემოს გამოყენებას. უცხოელმა სტუდენტებმა თავად ჩამოაყალიბეს სამეცნიერო კლუბი. ელენე უურავლიოვამ განაცხადა, რომ უნივერსიტეტი მაქსიმალურად ცდილობს სტუდენტებს მისცეს სამედიცინო განათლება, რომელიც შემდგომ საკუთარ სფეროში გამოადგებათ. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვინაიდან ფაკულტეტზე მედიცინა და სხვა საბუნებისმეტყველო მიმართულებები, მთელი რიგია სამაგისტრო პროგრამების, რომლებიც ხშირად აინტერესებთ მომავალ მედიკოსებს, ეს პროგრამები ქართულენოვანიცაა და ინგლისურენოვანიც.

მოწვეულმა საბჭოს წევრმა, ჯილდა ჭეიშვილმა, წარმატებები უსურვა ინსტიტუციას და კითხვით მიმართა ექსპერტებს. მედიცინის პროგრამაზე მიღების წინაპირობასთან დაკავშირებით ინგლისური ენის დონესთან მიმართებით პროგრამაში განსაზღვრულია B2 დონე უცხოელი სტუდენტებისათვის, ხოლო ქართველი სტუდენტებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდებით მიღება. მას აინტერესებდა ექსპერტებისგან როგორ და რა კუთხით შეაფასეს ეს სიტუაცია. მან აღნიშნა ფაქტი, რომ სტუდენტები ერთიანი ეროვნული გამოცდებით B2 დონეს ვერ აჩვენებდნენ. საბჭოს მოწვეულ წევრს მეორე კითხვა ჰქონდა ასევე ექსპერტებთან. მისი თქმით, როგორც ელენე უურავლიოვამ აღნიშნა, მათ ჰყავდათ 651 აქტიური სტუდენტი მედიცინის პროგრამასთან მიმართებით, თუმცა ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს, რომ ისინი მზად არიან მიიღონ 1 200 სტუდენტიც. ექსპერტებს ჰქონდათ ის პრივილეგია, რომ მათ ნახეს უნივერსიტეტის მატერიალური რესურსები. ჯილდა ჭეიშვილმა განაცხადა, რომ რა დოკუმენტაციასაც ის გაცნო, ზოგიერთ კლინიკურ სასწავლო კურსებში მითითებულია მხოლოდ ერთი განმახორციელებელი ლექტორი, მეტი სიზუსტისათვის მას აინტერესებდა, მაგალითად საოჯახო მედიცინაში, უროლოგიაში, როგორ დათვალეს ექსპერტებმა და როგორ გაუსვეს ხაზი ამ საკითხს, რომ ინსტიტუცია მზად არის 1200 სტუდენტისთვის, კერძოდ, 1 წელიწადში. 10 - 10 სტუდენტი რომ ავიღოთ თითო ჯგუფში, 20 ჯგუფი დასჭირდება 1 წელიწადში, თუ სემესტრულია 10 ჯგუფი. ამ შემთხვევაში როგორ შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა ეს საკითხი. მესამე შეკითხვა მიემართებოდა ინსტიტუციას. ჯილდა ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილმა პორტფოლიომ დიდი მოწონება დაიმსახურა. მას ჰქონდა დარგობრივი შეკითხვა. ეს პორტფოლიო 12 სემესტრზე იყო გადანაწილებული და მას დეტალურად აინტერესებდა, როგორ ხდებოდა ეს პროცესი ტექნიკურად.

ექსპერტმა ხათუნა საგანელიძემ პირველ კითხვასთან მიმართებით აღნიშნა რომ ინსტიტუციას უზრუნველყოფილი ჰქონდა შიდა გამოცდები, თუმცა მათი ვიზიტის დროს იყო დაშვება, რომ ყოფილიყო შიდა გამოცდები, თუმცა უნივერსიტეტს აქვს კარგად გააზრებული და

დაორგანიზებული შიდა გამოცდების სისტემა. საბჭოს მოწვეულ წევრს ჯილდა ჭეიშვილს აინტერესებდა, თუ რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი შიდა გამოცდას ვერ ჩააბარებდა და ვერ გადალახავდა B1 დონეს. ხათუნა საგანელიძემ განაცხადა, რომ ინსტიტუციას უზრუნველყოფილი ჰქონდა მობილობის სისტემა და თუ აბიტურიენტი ვერ ჩააბარებდა B2 დონეს, ის ვერ გახდებოდა მათი სტუდენტი. რაც შეეხებოდა მეორე საკითხს, ხათუნა საგანელიძემ განმარტა, რომ შაბურიშვილის კლინიკა და ამტელის ჰოსპიტალი უზრუნველყოფენ მაღალი დონის მომსახურებას. საოჯახო მედიცინა არის ის მიმართულება, სადაც უამრავი პაციენტია. ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელმა, ნინო ამირანაშვილმა, ისაუბრა ენის კომპეტენციის დადგენასთან დაკავშირებით შეკითხვაზე. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე რეჟიმში ყველა უნივერსიტეტს აქვს შესაძლებლობა აწიოს ეროვნულ გამოცდებზე თითოეული საგნის ზღვარი, მათ გამოთვალეს და აწეული აქვთ ზღვარი 70%-მდე. ამას ახორციელებენ არა მხოლოდ მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამისთვის, არამედ ყველა პროგრამისთვის. რაც შეეხება შიდა გამოცდებს, ექსპერტმა ამაზე უკვე ისაუბრა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტი ხათუნა საგანელიძე ვიზიტის დროს ზუსტად დაინტერესდა კონკრეტულად რომელ კლინიკაში, რამდენი ჯგუფი ახდენდა ამ საკითხის კოორდინირებას. უნივერსიტეტს აქვს მედიცინის პროგრამის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც მიწოდებული იყო ექსპერტებისთვის. უმრავლეს შემთხვევაში, დაგეგმილია ისე, რომ კლინიკაში ჯგუფების რაოდენობა კარგადაა განაწილებული და 10 ჯგუფი ერთ ლექტორთან არსად არის გათვალისწინებული. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტსდიდი კლინიკების გარდა პატარა კლინიკებთანაც აქვს გაფორმებული მემორანდუმები, რაც შეეხება დატვირთვას, მათ ხელშეკრულებაში უწერიათ, რომ ეს არის კლინიკის ვალდებულება. კლინიკას ჰყავს კოორდინატორი, რომელიც სემესტრის დაწყებამდე სტუდენტების რაოდენობას ანაწილებს ჯგუფებში. კლინიკა თავად იღებს გადაწყვეტილებას ლექტორების რაოდენობასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ძლიერი ინგლისური ენის მცოდნე ექიმი ხშირად არ არის მონდომებული, რომ ჩაერთოს სასწავლო პროცესში, ამან განაპირობა ის, რომ საკმაოდ დიდ ხანს არჩევს უნივერსიტეტი შესაბამის პარტნიორებს, აკეთებს დუბლირებას იქ, სადაც ხვდება, რომ სტუდენტების რაოდენობა გაიზარდა. მან აღნიშნა, რომ კლინიკური სტაჟირება ხორციელდება. რაც შეეხება დატვირთვას, ეს არის სამედიცინო სკოლების საერთო წუხილი, თუ რას აკეთებენ სტუდენტები კლინიკაში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით არსებობს მონიტორინგის მექანიზმები, ზოგჯერ როტაციაც კი მომხდარა პერსონალის შუა სემესტრის დროს. შესაბამისად, არსებობს გზები ამ პროცესების სამართავად. მისი თქმით, დაწესებულება თანამშრომლობს კლინიკურ კოორდინატორთან, რომელიც სემესტრის დაწყებიდან აწვდის ინფორმაციას თუ რამდენ ლექტორს რამდენი ჯგუფის მიღება შეუძლია. ჯილდა ჭეიშვილმა განაცხადა, რომ მისი კითხვა ფოკუსირებული იყო იმ კლინიკურ საგნებზე, სადაც მხოლოდ ერთი განმახორციელებელი პერსონალი ჰყავს დაწესებულებას და აინტერესებდა კლინიკა როგორ უზრუნველყოფდა უნივერსიტეტისთვის ლექტორის შერჩევას. ჯილდა ჭეიშვილი დაეთანხმა დაწესებულების ერთ-ერთ წარმომადგენელს და განმარტა, რომ არსებობს შეუსაბამობა დარგობრივსა და კანონს შორის და მისი აზრით ეროვნულ გამოცდებზე არა 70 არამედ 100%-ით რომ აიწიოს B1 დონე კარგი იქნება. უმეტეს ინსტიტუციებში არის ასეთი შეუსაბამობა ქართველ და უცხოელ სტუდენტებს შორის. მისი განმარტებით, მიზეზი, რატომაც ეს კითხვა დასვა იყო ის, რომ ხშირად ზოგიერთი ინსტიტუტისთვის მოთხოვნადია B1 დონე, ხოლო ზოგისთვის არა. აკრედიტაციაზე შემოსულა ძალიან ბევრი ისეთი ინსტიტუცია, რომლის სტუდენტები კურსს ხურავენ B1 დონით. მისი თქმით, ეს მედიცინის პროგრამისთვის მიუღებელია. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების პასუხიც მისაღებია და დაამატა, რომ მისთვის უფრო მეტად მისაღებია ქართველისთვის B1 იყოს მიღების წინაპირობა და უცხოელისთვის B2. დაწესებულების წარმომადგენელმა, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს პორტფოლიოს დადებითად შეფასებისთვის. ეს არის ინტეგრირებული დოკუმენტი, რომელიც აკეთებს სტუდენტის ინფორმაციულ და შემაჯამებელ შეფასებას. უნივერსიტეტის წარმომადგენლის

განმარტებით, დოკუმენტი შედგება 4 კომპონენტისგან: სტუდენტის პროფესიული განვითარება, პიროვნული განვითარება, კვლევითი და სოციალური მიმართულებით განვითარება და პრაქტიკის ნაწილი. 6 წლის მანძილზე დარგობრივ დოკუმენტში გაკეთდა ჩანაწერი, რომ პორტფოლიოს გამოყენება მოხდეს სრული სწავლების ციკლის განმავლობაში, შესაბამისად, ეს ყოველივე დაწესებულებამ მოარგო გადაწყვეტილებას. მისი თქმით, პროფესიული განვითარება ძირითადად იწყება კლინიკურ ეტაპზე. პორტფოლიოს მეშვეობით ხდება ექიმის ძირითადი კომპეტენციების როლების შეფასება, როგორიცაა მაგალითად, სამედიცინო ექსპერტიზა, ცოდნა, კომუნიკაციის უნარები (მათ შორის ტრანსფერული უნარები), ლიდერობა, პროფესიონალიზმი და ა.შ. ამ უნარების შეფასება განგრძობითი დაკვირვების შედეგად ხდება. რთულია კომპეტენციის ერთიანი გამოცდით შეფასება. პროფესიული განვითარება მოიცავს კლინიკურ აქტივობას და იქ გამოვლენილ უნარებს, რომლებიც ჯამდება მთელი სემესტრების განმავლობაში. სტუდენტები წელიწადში ერთხელ აკეთებენ თვითშეფასებას პიროვნული უნარების მიხედვით. თვითრეფლექსია მდგომარეობს იმაში, რომ სტუდენტებმა განსაზღვრონ თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ნებისმიერი აქტივობა წახალისებულია პორტფოლიოს მიერ. ასევე არის პრაქტიკის შეფასება ე.წ 365 დღიანი შეფასება, რომელიც უკვე დასკვნით ეტაპზე, როცა შეფასება სხვადასხვა კომპეტენციების მხრივ ხდება პრაქტიკის ფარგლებში.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, მედიცინის პროგრამის ბიუჯეტირება როგორ ხდებოდა. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი ბიუჯეტირებას ახდენს პროცესის გათვალისწინებით. სკოლის ხელმძღვანელი წარმოადგენს დაგეგმილ ხარჯებს და ეს ხარჯები ძირითადად მოწონებულია ადმინისტრაციის მიერ. მან აქვე აღნიშნა, რომ სკოლა ასევე აფინანსებს უფასო სადოქტორო განათლებას და ესეც ხელმისაწვდომია. იურიდიული სამსახურის უფროსმა, დალი ცეკიტიშვილმა განაცხადა, რომ ფაკულტეტს გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი და ამ ბიუჯეტის ნაწილია მედიცინის სკოლის ბიუჯეტი.

საბჭოს წევრმა, ზვიად კირტავამ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. იგი გამოხმაურა ჯილდა ჭეიშვილის შეკითხვებს ინგლისური ენის სტანდარტთან დაკავშირებით და ასევე იმ მოსაზრებას, რომ ეს არაა მხოლოდ ილიაუნისთვის დამახასიათებელი პრობლემა. მან განაცხადა, რომ საბჭოს წევრებმა არ შეცვალეს ენის მოთხოვნა, მაშინ როცა დარგობრივ მახასიათებელში შევიდა B1 დონეზე ჩამოსვლის მოთხოვნა და ამან გარკვეული დისონანსი გააჩინა ინგლისურენოვან პროგრამებზე. რაც შეეხება მეორე საკითხს, მედიცინის პროგრამის განმახორციელებლების პრობლემას, თუ ეს პროცესი კარგად იქნებოდა გაწერილი, ეს მისი თქმით, შესაძლებელია. თუმცა, ყოველთვის არის საფრთხე, მაგალითად ერთი განმახორციელებლის ავადმყოფობის გამო ამან შეიძლება სერიოზული პრობლემები გამოიწვიოს. მისი თქმით, მედიცინის პროგრამის ერთი განმახორციელებელი საფრთხეს შეუქმნიდა პროგრამას. მან რჩევა მისცა დაწესებულებას, რომ ეს პრობლემა დროულად აღმოფხვრან. ზვიად კირტავამ განმარტა, რომ იგი იცნობდა ამ პროგრამას და ფიქრობს, რომ ყველაფერი კარგადაა გათვლილი. წლების განმავლობაში მუშაობდნენ დარგობრივი მახასიათებლის განმავითარებელ ვარიანტზე და რა თქმა უნდა, კარგად იყო ცნობილი ახალი დადგენილი მოთხოვნებიც. საბჭოზე გაუდერდა, რომ აკრედიტაციის და ავტორიზაციის სტანდარტები ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან და ზღვრის გავლება უჭირთ ხოლმე. ზვიად კირტავას 7.1 სტანდარტის რჩევიდან რეკომენდაციაში გადასვლასთან დაკავშირებით აინტერესებდა დაწესებულების პოზიცია. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე ჯამში 250 სტუდენტზე ნაკლები იმყოფება კლინიკაში, შესაბამისად დათვლების შედეგად დადგინდა, რომ წინასწარვე განსაზღვრულია რომელ კლინიკაში რამდენი სტუდენტის "ქეფესითი" არსებობს რომ გაიგზავნოს. რაც შეეხება მემორანდუმებს, იმ პერიოდში, როცა ხორციელდებოდა ვიზიტი, არსებობდა რამდენიმე მემორანდუმი, რომლებშიც მითითებული იყო რაოდენობები, თუმცა, არსებობდა უკვე მოქმედი მემორანდუმებიც, რომლებიც პარალელურად მუშაობდნენ ახალი ხელშეკრულების

გაფორმებაზე და შესაბამისად მისი ამოწურვის შემდეგ მოხდა დაკონკრეტება და შეთანხმება. ზვიად კირტავამ განაცხადა, რომ დოკუმენტაცია უნდა ყოფილიყო მათთან გაზიარებული. რაც შეეხება პირველ საკითხს, თუ ისინი ამბობენ რომ არ არსებობდა არცერთი კლინიკური მიმართულება, სადაც ერთი ადამიანია ამა თუ იმ კლინიკის განმახორციელებელი ლექტორი, ეს მოითხოვდა გადაზღვევას მეორე ლექტორის, თუნდაც ნაკლები გამოცდილების მხრივ. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მემორანდუმებში ყველა სტუდენტი იყო დათვლილი და ჩაწერილი.

საბჭოს წევრმა ზვიად კირტავამ დაწესებულებას მიმართა შემდეგი შეკითხვით. მას აინტერესებდა, სტუდენტთა სემესტრული რაოდენობა მხოლოდ მედიცინის მემორანდუმში იყო ასახული თუ ყველგან. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 1200 სტუდენტი, რომელიც მათ სამედიცინო სკოლაშია განსაზღვრული, მათი კლინიკური კომპონენტი დათვლილი და წარმოდგენილი იყო ცხრილის სახით. მან აღნიშნა, რომ გულისა და სისხლძარღვის კლინიკაშიც, ასევე ჯეო ჰოსპიტალშიც მოითხოვეს ეს ცხრილები. მემორანდუმებთან დაკავშირებული საკითხი იმიტომ არის რჩევაში, რომ ის საერთოდ არ ეხებოდა 1 200 სტუდენტს. ნინო ჟვანიამ ისაუბრა მიღების წინაპირობასთან დაკავშირებით შეკითხვაზე. მან განმარტა, რომ დაწესებულებას ჰქონდა 70% მიღების წინაპირობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია ენის კომპეტენციისთვის. მან აღნიშნა, რომ ეს გამოცდები ვალიდურია და შესაბამისობაშია ენის ევროპულ ჩარჩოსთან.

## სხდომაზე გამოცხადდა სთათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:08

დასრულების დრო: 18:56

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ავტორიზაციის საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გაითვალისწინა სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, დაწესებულების მოსაზრებები და შეჯერდა საკუთარ გადაწყვეტილებაზე.

## საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის - 17 770 - ით, მათ შორის - დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით, განსაზღვრის საკითხი.

## კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

## გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, 32<sup>7</sup> მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56<sup>2</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56<sup>3</sup> მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61 - ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 101 - ე მუხლის მე - 2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 102 - ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის და მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 204861970) მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (დაწესებულების სახე - უნივერსიტეტი) 6 წლის ვადით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 17 770-ით, მათ შორის, დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით.
- ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 10 ოქტომბრის №1312011 გადაწყვეტილება.
- აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 12 მარტს.

საბჭომ რჩევებში გადაიტანა 2024 წლის 10 ოქტომბრის სხდომის ოქმში დაფიქსირებული ყველა რეკომენდაცია გარდა შემდეგისა: „რეკომენდებულია, ყველა მემორანდუმში მიეთითოს სტუდენტების მაქსიმალური/მინიმალური რაოდენობა, რომლის მიღებასაც შეძლებს პარტნიორი დაწესებულება (სტაჟირება, კლინიკური პრაქტიკა)“. ამასთან, საბჭომ გაიზიარა 3.2 კომპონენტში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ დაფიქსირებული რეკომენდაცია. შესაბამისად, ავტორიზაციის მე-3 და მე-7 სტანდარტების შეფასება, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბჭომ იმსჯელა მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ პროგრამაზე არსებული რესურსების გათვალისწინებით, სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს - 800 - ით.

### **დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:**

#### **რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტი დააკვირდეს და მყისიერად მიჰყვეს საკანონმდებლო ცვლილებებს, განსაკუთრებით - საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში;
- რეკომენდებულია, ყველა მემორანდუმში მიეთითოს სტუდენტების მაქსიმალური/მინიმალური რაოდენობა, რომლის მიღებასაც შეძლებს პარტნიორი დაწესებულება (სტაჟირება, კლინიკური პრაქტიკა).

#### **რჩევები:**

- სასურველია გაგრძელდეს დაწყებული ძალისხმევა კერძოდ იმ მიმართულებით, რომ დაწესებულება იყოს ინკლუზიური და ღია რომელიც პროაქტიულად შესთავაზებს სწავლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებს.
- სასურველია, უნივერსიტეტმა განიხილოს პერსონალისთვის „სამუშაო-ცხოვრების“ ბალანსის საკითხის სტრატეგიულ გეგმებში შეტანის შესაძლებლობა, შესაბამისი შიდაორგანიზაციული ზომებით;
- სასურველია, რომ გაგრძელდეს ძალისხმევა, რათა უნივერსიტეტი გახდეს ადგილი, სადაც სტუდენტთა სხვადასხვა ნაკადის რეალური ინტეგრაცია ეფექტურად ხდება (მაგალითად, ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტების);
- სასურველია, უფრო ინტენსიური და რეგულარული შეხვედრების ჩატარება დაინტერესებულ მხარეებთან, რათა მიაწოდოთ უკუკავშირი იმ აქტივობებზე, რომლებიც მათი რეკომენდაციებისა და რჩევების საპასუხოდ განახორციელა დაწესებულებამ; ეს ასევე უნდა შეეხოს ყველა დაინტერესებულ მხარეს და შესაძლოა ამან მიიღოს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმა, რათა მისცეთ მათ რეგულარული მოტივაცია, რომ ღირებული მონაწილეობა მიიღონ ხარისხის უზრუნველყოფის კვლევასა და შეფასებაში;

- სასურველია, რომ უნივერსიტეტი მეტი ყურადღება დაუთმოს დოკუმენტების სწორად განახლების უზრუნველყოფას;
- სასურველია, დაწესებულებამ განიხილოს სტუდენტებისთვის უფრო მრავალფეროვანი არჩევითი კურსების შეთავაზების და მათი პრაქტიკული მომზადების სფეროს გაფართოების შესაძლებლობები;
- სასურველია, განხილულ იქნას დაწესებულებაში მოქმედი ყველა სასწავლო პროგრამისთვის მრჩეველთა საბჭოების დანერგვის შესაძლებლობა;
- სასურველია, რომ სამართლის სკოლას, სრული და ასოცირებული პროფესორების გარდა, ჰყავდეს აგრეთვე დაბალი თანამდებობის აკადემიური პერსონალი (ასისტენტები), რათა უზრუნველყოთ პროგრამების უწყვეტობა და მდგრადობა და დარგის პროფესიონალების ზრდა;
- სასურველია დაწესებულებამ განახორციელოს ინგლისურენოვანი ვებგვერდის სრულყოფა, რაც საერთაშორისო სტუდენტებისთვის აღმოფხვრის პოტენციურ საინფორმაციო და საკომუნიკაციო პრობლემებს;
- სასურველია ახალი ვებპორტალის შექმნასთან დაკავშირებული ამოცანებისა და აქტივობების ასახვა უნივერსიტეტის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში;
- სასურველია ელექტრონული ფოსტის გაგზავნის პროცესში უზრუნველყოთ გონივრული რაოდენობისა და მოცულობის ინფორმაციის გავრცელება;
- სასურველია უნივერსიტეტის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში აისახოს ახალი ვებპორტალის სრულყოფასთან დაკავშირებული ამოცანები და აქტივობები;
- სასურველია უნივერსიტეტში გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რაც გამოიწვევს აფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობის გაუმჯობესებას აფილირებული აკადემიური პერსონალის სასარგებლოდ.

**მოწვეულმა საბჭოს წევრმა, ეკა ეკალამებ დატოვა სხდომა.**

**მესამე საკითხი:** შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის ხელახალი განხილვა (სააპელაციო საბჭოდან დაბრუნებული);

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**  
არა.

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:**  
არა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. ასევე სააპელაციო საჩივრის წარმოებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ**  
თავიანთი პოზიცია.

შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის რექტორი, გოჩა თუთბერიძე, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტს ავტორიზაცია მიენიჭა 2024 წლის ოქტომბრის თვეში გამართულ ავტორიზაციის საბჭოს

სხდომაზე. მისი თქმით, დაწესებულება ითხოვდა სტუდენტთა რაოდენობის 1500 კვოტას. მედიცინის პროგრამის შემთხვევაში კი 600 ადგილს. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა იყო აბსოლუტურად პოზიტიური. უნივერსიტეტის კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია დადებითად შეფასდა. ეს ინფორმაცია დასკვნაში დეტალურად არის მოცემული. ხარისხის მექანიზმებთან, მე-7 სტანდარტთან, რესურსებით უზრუნველყოფასა და ა.შ. საკითხებთან დაკავშირებით ექსპერტებს შენიშვნა არ გაუციათ. ასევე, საბჭოს მიმდინარეობის დროს არ ყოფილა დასმული შეკითხვა ან გამართული დისკუსია ამ საკითხთან დაკავშირებით. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ის რესურსები, რომლებიც უნივერსიტეტს გააჩნია, მატერიალური თუ ადამიანური რესურსები, ბიბლიოთეკა, პრაქტიკის ბაზები, ლაბორატორიები, სიმულაციური ცენტრები, დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. აյ საუბარია 100 სტუდენტის მიღებაზე წელიწადში. ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაწესებულებისთვის ცოტა მოულოდნელი იყო. გოჩა თუთბერიძის თქმით, უნივერსიტეტი დაეთანხმა რეკომენდაციებს და ეს რა თქმა უნდა, ჩანს არგუმენტირებულ პოზიციაში.

უნივერსიტეტის რექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს თხოვნით მიმართა, რომ კიდევ ერთხელ განხილათ დაწესებულების მოთხოვნა კონტინგენტის საკითხთან დაკავშირებით. ნებისმიერი კითხვის არსებობის შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები და პროგრამის ხელმძღვანელების გასცემდნენ პასუხს.

## საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ იოსელიანმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, როგორც მისთვის ცნობილი იყო, დაწესებულებამ დაიმატა მედიცინის ახალი პროგრამა თბილისში. მას აინტერესებდა, როგორ ანაწილებდა უნივერსიტეტი კონტინგენტს. დაწესებულების წარმომადგენელმა, გოჩა თუთბერიძემ განმარტა, რომ ახალი პროგრამისთვის თბილისში გათვალისწინებულია 300 ადგილი, რომელიც აკრედიტაციის საბჭოს მიერ იქნა განსაზღვრული. შესაბამისად, 1500 ადგილიდან 600 იქნება ქუთაისში, ხოლო 300 თბილისში. თამარ იოსელიანმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რამდენად იყო აღნიშნული რაოდენობისათვის საშუალება და რესურსი. ექსპერტმა ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში დეტალურად არის აღწერილი, რომ მეთოდოლოგია ნამდვილად არსებობს ამ მიმართულებით. ექსპერტებმა დამატებით გამოითხოვეს მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით დოკუმენტაცია. უნივერსიტეტმა ცალ-ცალკე წარმოადგინა დასაბუთება, როგორც ქუთაისში არსებული, ისე თბილისში არსებული რესურსების შესახებ. მისი თქმით, ექსპერტებს მიეცათ საშუალება, რომ ადგილზე ენახათ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და რესურსები. ერთადერთი გარემოება, რომელიც ინტერვიუების დროს გამოიკვეთა კვოტისა და კონტინგენტის ნაწილში ის იყო, რომ უნდა გაიზარდოს პროგრამის ხელმძღვანელობის ჩართულობა დაგეგმვის ეტაპზე, რადგან მეთოდოლოგია ამას განსაზღვრავს. ინტერვიუებმა ეს ნაკლებად გამოავლინა. ექსპერტებმა სკეპტიკურად შეხედეს იმ საკითხს, რომ რესურსების გაზიარების ნაწილი იყო ადმინისტრაციული მიმართულებით ევროპის უნივერსიტეტში დასაქმების კუთხით, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით გაიცა რჩევა და არა რეკომენდაცია. ექსპერტების აზრით, ეს პრობლემას არ უქმნის სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის საკითხს. საბჭოს მოწვევულმა წევრმა, ხათუნა ზალდასტანიშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რით ამყარებდა უნივერსიტეტი საკუთარ მოთხოვნას სტუდენტთა კვოტის გაზრდასთან დაკავშირებით. ექსპერტმა ქეთევან აფთარაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულა კონტინგენტის დაგეგმვის ნაწილში ითვალისწინებს სხვადასხვა პარამეტრს, მათ შორის, მატერიალურ ტექნიკური ბაზას, სტუდენტების მიღების სტატისტიკას, დინამიკას და პერსონალს. მათ აქვთ ძალიან დეტალურად გაანალიზებული ბოლო 3 აკადემიური სასწავლო წლის ჭრილში არსებული მდგომარეობა და გაკეთებული აქვთ პროგნოზი იმის შესახებ თუ რა რესურსი არსებობს სხვადასხვა ნაწილში. დიპლომირებული მედიკოსის შემთხვევაში უნივერსიტეტს ცალკე აქვს დათვლილი რესურსი. ასევე გათვალისწინებული აქვს დარგობრივი

სტანდარტის მოთხოვნა მატერიალურ - ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებით. მისი თქმით, დამატებით მოხდა თბილისის მატერიალური ბაზის აღჭურვა. საკმაოდ შთამბეჭდავი იყო ის ნაწილი თუ როგორ აღიჭურვა მედიცინის მიმართულება მულაჟებითა და სხვა დანადგარებით. ამ მხრივ კითხვის ნიშნები არ არსებობს.

უნივერსიტეტის ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე - რექტორმა, სოფიო ხუნდაძემ განაცხადა, რომ დაწესებულება ქუთაისში სტუდენტთა რაოდენობის დამატებას არ ითხოვდა. უნივერსიტეტი ითხოვს ქუთაისში 900 სტუდენტის მიღებას. დაწესებულება 900-დან წელიწადში 100 სტუდენტს ითხოვს მედიცინის პროგრამაზე. დამატება, რომელიც 1500-მდე გაზრდას გულისხმობს, გათვალისწინებული იყო თბილისში დამატებული რესურსების ხარჯზე. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ თბილისში დამატებით მოეწყო სასწავლო ფართი. უნივერსიტეტის შემუშავებული აქვს მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს რესურსების შეფასებას ბევრი მიმართულებით. მაგალითად, აუდიტორიების, ლაბორატორიების, სიმულაციური ცენტრის, კლინიკებში არსებული პერსონალის მიმართულებით. სხვა პროგრამების შემთხვევაში პრაქტიკის ობიექტების რესურსების შეფასებას, ასევე საბიბლიოთეკო რესურსის შეფასებას, ფართის კუთხით გამტარუნარიანობას და ა.შ. მისი თქმით, ამ რესურსის შეფასება მოხდა, როგორც ქუთაისში, ისე თბილისში არსებული რესურსების გათვალისწინებით. წარმოდგენილი იყო არა მხოლოდ მეთოდოლოგია, არამედ ამ მეთოდოლოგიის მიხედვით დათვლები.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ზვიად კირტავამ, განაცხადა, რომ მას კარგად ახსოვდა წინა ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ამ საკითხთან დაკავშირებით. მისი თქმით, დაწესებულების რეაქცია წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე ძალიან დადებითი იყო. თუმცა, დაწესებულებამ გაასაჩივრა ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება. მას აინტერესებდა, რით აიხსნებოდა ეს ურთიერთწინაღმდეგობა. გოჩა თუთბერიძის თქმით, ასეთი რეაქცია იყო წმინდა ადამიანური ფაქტორით გამოწვეული. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა ეს ყველაფერი იმ მომენტში კარგად ვერ გაიაზრა. თუნდაც, დაწესებულებას ეს გადაწყვეტილება საბჭოზე გაეპროტესტებინა, არაფერი შეიცვლებოდა ამით. მან აღნიშნა, რომ შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი მუდმივად ავითარებს მატერიალურ - ტექნიკურ ბაზას. მაგალითად, ორი კვირის წინ დაწესებულებამ შეიძინა ანატომაჟი, იმისთვის, რომ სტუდენტებს უკეთესი პირობები ჰქონდათ.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ხათუნა ზალდასტანიშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, უნივერსიტეტის ადამიანური რესურსი მოიცავდა თუ არა თბილისში დასაქმებულ ექიმებს. გოჩა თუთბერიძემ განმარტა, რომ უნივერსიტეტს აქვს ორი დამოუკიდებელი პროგრამა, რომელიც ხორციელდება თბილისსა და ქუთაისში. შესაბამისად, ორივე პროგრამას, როგორც საკუთარი დამოუკიდებელი პერსონალი, ისე მატერიალური რესურსი აქვს. სოფიო ხუნდაძემ კლინიკებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კლინიკური სასწავლო კურსები თბილისის კლინიკებში ხორციელდება და შესაბამისად, პერსონალიც თბილისშია დასაქმებული. ამ კლინიკებთან მოთხოვნების დაცვით გაფორმებულია მემორანდუმები.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა ხათუნა ზალდასტანიშვილმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, უნივერსიტეტს რომელ კლინიკებთან ჰქონდა გაფორმებული მემორანდუმები. ასევე ამ კლინიკებს კიდევ თუ ჰქონდა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ასეთი კავშირი. სოფიო ხუნდაძემ განმარტა, რომ ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი ევროპის უნივერსიტეტის შვილობილი დაწესებულებაა. ევროპის უნივერსიტეტი თბილისში ფლობს საკუთარ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალს „ჯოენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის“ სახით. მან აღნიშნა, რომ როდესაც დაწესებულება იწყებდა თანამშრომლობას კლინიკებთან, მისთვის პრიორიტეტული იყო ისეთ ჰოსპიტალთან კავშირი, რომელსაც სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან არ ექნებოდა ურთიერთობა. მისი თქმით, კლინიკებთან დადებულ მემორანდუმებში წერია კონკრეტული სასწავლო კურსები, რომლის განხორციელებაც სტუდენტებისთვის ამ კლინიკებში მოხდება. ექსპერტმა

ქეთევან აფთარაშვილმა დაამატა, რომ ვიზიტი ასევე განხორციელდა ჯოენის კლინიკაში და მათ უშუალოდ ის ნაწილი დაათვალიერეს, რომელიც მოემსახურებოდა ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის კონტიგენტს თბილისში. უნივერსიტეტის მედიცინის პროგრამის ხელმძღვანელმა, თინათინ გოგნამემ, განაცხადა, რომ ვინაიდან ჯოენის კლინიკა არ მოიცავს დისციპლინათა სრულ სპექტრს, დაწესებულებას მემორანდუმი გაფორმებული აქვს თბილისის 30 კლინიკასთან. მაგალითად, ავერსის, ღუდუშაურის, თბილისის ცენტრალურ, ინოვას და კანვენის კლინიკებთან.

ხათუნა ზალდასტანიშვილს აინტერესებდა, როგორ ხდებოდა სტუდენტების გადანაწილება აღნიშნულ 30 კლინიკაში და მათი ადმინისტრირება. ასევე რა რაოდენობის სტუდენტებზე იყო საუბარი. თინათინ გოგნამემ განმარტა, რომ 300 სტუდენტის მიღების შემთხვევაში, 1 წლის განმავლობაში 50 სტუდენტზე საუბარი. კლინიკის ყველა მემორანდუმს აქვს საკუთარი დანართი, რაც ბოლო დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით არის განახლებული და ყველა ეს ინფორმაცია მოწოდებული საბჭოსთვის, კერძოდ, რომელი სასწავლო კურსი უნდა განხორციელდეს კონკრეტულ კლინიკაში და რამდენი მიმართულების ლექტორი არსებობს. ამრიგად, ყველა ეს ინფორმაცია ციფრებით არის მოცემული დანართებში. რაც შეეხება განაწილებას კლინიკებში, როდესაც მე-7 სემესტრი დაიწყება, 50 სტუდენტის სწავლების პროცესში არ არის აუცილებელი, რომ ოცდაათივე კლინიკა ერთდროულად ჩაერთოს. დაწესებულებას აქვს გადაზღვევის სისტემა, რაც იმას გულისხმობს, რომ თუ რომელიმე კლინიკიდან, რომელიმე სპეციალისტმა უარი თქვა სწავლების განხორციელებაზე, მაშინ სხვა კლინიკა დაიტვირთება.

## სხდომაზე გამოცხადდა სთათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:35

დასრულების დრო: 19:54

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 04 ოქტომბრის №1299764 გადაწყვეტილების მაღაში დატოვების საკითხი, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს: შპს ქუთაისის უნივერსიტეტს (ს/კ: 212677094) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 1200-ით, მათ შორის - დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე (ქ. ქუთაისი) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 350 სტუდენტით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, სააპელაციო საბჭოს 2025 წლის 15 იანვრის № 51988 გადაწყვეტილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 101 - ე მუხლის მე - 2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 102 - ე მუხლის მე-2 პუნქტის და მე-3 პუნქტების, შესაბამისად, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის (ს/კ: 212677094) ავტორიზაციის საკითხთან დაკავშირებით ძალაში დარჩეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 04 ოქტომბრის №1299764 გადაწყვეტილება.

## აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 12 მარტს.

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებზე დაყრდნობით საბჭომ მიიჩნია, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას არ აქვს შევსებული სტუდენტთა რაოდენობა საბჭოს მიერ განსაზღვრული კვოტის ფარგლებში. ამასთან, დაწესებულებამ 2025 წლის 17 იანვრის №26451 გადაწყვეტილებით დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღო პირობითი აკრედიტაცია 1 წლის ვადით. (თბილისში). მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილების მიხედვით, რეკომენდაციები ძირითადად მიემართებოდა რესურსების დაკმაყოფილების საკითხებს, ამასთან, დაწესებულებას აქვს რეკომედაცია განსაზღვრული, რომელიც მიემართება პროფესორების, ასოცირებული პროფესორების და ასისტენტ-პროფესორების შესაბამისი რაოდენობის დაგეგმვის საკითხებს, ასევე, აფილირებული აკადემიური პერსონალის გაზრდის საკითხებს. შესაბამისად საბჭომ მიიჩნია, რომ სტუდენტთა რაოდენობასთან მიმართების დატოვოს თავისი პირვანდელი პოზიცია.

საბჭომ ასევე, ძალაში დატოვა 2024 წლის 04 ოქტომბრის №1269892 სხდომის ოქმში დაფიქსირებული რეკომებდაციები:

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ საფუძვლიანად გადახედოს ორგანიზაციულ სტრუქტურას. გარდა ამისა, აღნიშნული მიმოხილვა უნდა ითვალისწინებდეს სტრუქტურის გრაფიკულ გამოსახულებაში პრეზიდენტის, ფაკულტეტის საბჭოების და კვლევითი ცენტრების ასახვას. რეკომენდებულია, ქუთაისის უნივერსიტეტის დოკუმენტებში და მართვის სტრუქტურაში განისაზღვროს პრეზიდენტის თანამდებობა, უფლებამოსილება, ფუნქციები და პასუხისმგებლობა;
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელების აქტიური მონაწილეობა სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის და მონიტორინგის პროცედურებში;
- რეკომენდებულია პერსონალის შეფასების წესებს/რეგულაციებს დაემატოს სამეცნიერო პერსონალის შეფასების წესი;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის წილი, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის რეიტინგის და სამეცნიერო იმიჯის გაზრდას, სასწავლო პროცესის და კვლევითი საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას;
- რეკომენდებულია პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება, რათა თითოეულ პროგრამაზე უზრუნველყოფილ იქნას პროფესორების, ასოცირებული პროფესორების და ასისტენტ-პროფესორების შესაბამისი რაოდენობა. უნივერსიტეტმა მეტი ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს პერსონალის სამიზნე ნიშნულების გასაუმჯობესებლად, იმისათვის რომ ეფექტურად განახორციელოს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს აკადემიური პერსონალის/ სტუდენტების თანაფარდობის დაგეგმვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა;
- რეკომენდებულია და აუცილებელია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, ყველა სტუდენტის ინფორმირება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მათი უფლებების შესახებ;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გამოიკვლიოს საგრანტო განაცხადების უმეტესი ნაწილის უარყოფის მიზეზები და მიიღოს ზომები აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი, კერძოდ, გააქტიუროს საერთაშორისო თანამშრომლობა და გაცვლითი პროგრამები;
- რეკომენდებულია, კვლევით პროექტებში და ნაშრომებში შედარებითი კვლევის კომპონენტის გაძლიერება;

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა აკადემიურ პერსონალს შესთავაზოს მათი მოღვაწეობის სფეროსთან დაკავშირებული სამეცნიერო აქტივობები;
- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთის შეიმუშაოს დეტალური ბიუჯეტი, იმისათვის რომ ზუსტად ასახოს პროგრამებთან დაკავშირებული ფინანსური რეალობები.

სხდომა დასრულდა დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 2025 წლის 12 მარტის 19:55 საათზე.

ავტორიზაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ლეშვაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების  
ავტორიზაციის საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
იოსელიანი თამარ

Dr. David  
Lashvili

